ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №36

19.12.2023 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
12:00 საათი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. გურამ ოქროპირიძე - კომისიის წევრი;
4. მარიამ ზაქარიაშვილი - კომისიის წევრი;
5. სალომე კობალაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის № 19-118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032334971-03; 15.12.2023).

მომხსენებლები:

- **გაიოზ თალაკვაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **ლევან მიქავა** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

კომისიის სხდომა გაიმართა ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო, სარევიზიო და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიებთან ერთად.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებლებს სთხოვა წარედგინათ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

გ.თალაკვაძემ ვრცლად ისაუბრა თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებებზე. როგორც მან განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს გადასახდელების ნაწილში არსებული რესურსების გადანაწილების ხარჯზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი საქალაქო სამსახურის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებების გათვალისწინებით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა რჩება უცვლელი და შეადგენს 1 826 328,8 ათას ლარს.

ასევე, **გ.თალაკვაძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის თანახმად, იზრდება საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია - 29 962,1 ათასი ლარით. ამასთანავე, 300,0 ათასი ლარით იზრდება 2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა. პროექტის თანახმად, მცირდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები - 3 946,7 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 688 534,6 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 137 794,2 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 628 434,6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი სალდო 109 380,8 ათასი ლარით.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა შემდეგი საკითხი:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის № 19-118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (12-032334971-03; 15.12.2023) საკრებულოს სხდომაზე გატანა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 1, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28

დეკემბრის № 19-118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032334971-03; 15.12.2023) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე